Taski Clonet Extra Plus W41

აბაზანის საწმენდი-კირქვის მოსაშორებელი საშუალება

აღწერილობა:
Diversey-Taski Clonet Extra plus W41-კირქვის ნადების მოსაშორებელი საშუალება აბაზანის და უნიტაზის ზედაპირებისათვის.
- მჟავაზე დაფუძნებული ფორმულა
- ნაზი ფორმულირება მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის
- სწრაფი მოქმედება
- მსუბუქი, დელიკატური და სუფთა სურნელი

უპირატესობები
- იდეალურია ყოველდღიური გამოყენებისთვის მძიმე წყლის პირობებშიც.
- ეფექტურად აშორებს კალციუმის, წყლის მარილებსა და სხვა სახის ნადებს.
- რეგულარული გამოყენება ხელს უშლის ნადების წარმოქმნას
- ტოვებს ხანგრძლივ და სასიამოვნო სურნელს
- შესაძლებელია გამოყენება ისეთ ზედაპირებზე როგორიცაა: დაუზიანებელი კერამიკა, ფაიფური, რკინა-მეტალი და სხვა.

დოზირება: გაზავება ხდება DIVERMITE ან DQFM დისპენსერების საშუალებით.
განზავების კოეფიციენტი: 15%-20%

გამოყენება:
მცირე ტერიტორიები: დაასხურეთ მცირე რაოდენობა ნესტიან ქსოვილზე/ჯაგრისზე და დაამუშავეთ არეალი, ჩამორეცხეთ ზედაპირი ცხელი წყლით და გაამშრალეთ.
უნიტაზის შემთხვევაში: ჩარეცხეთ უნიტაზი ან პისუარი. ოდნავ მოუჭირეთ ხელი **Clonet Extra** -ს ბოთლს და მიმართეთ სითხე კიდის ქვეშ, უნიტაზის შიდა ზედაპირის გარშემო და წყლის ნაკადზე. დატოვეთ დაახლოებით 5-10 წუთი, გახეხეთ ჯაგრისით, შემდეგ ჩარეცხეთ წყლის ჭავლით.
დაგროვილი კალციუმის, კირქვის შემთხვევაში გაზარდეთ დაყოვნების დრო.

მნიშვნელოვანი: არ გამოიყენოთ მჟავაზე მგრძნობიარე ზედაპირზე, როგორიცაა მარმარილო. მჟავაზე მგრძნობიარე ზედაპირზე მოხვედრილი წვეთები ან შხეფები სასწრაფოდ გაწმინდეთ და გადაავლეთ სუფთა წყალი.
არ შეურიოთ მათეთრებელ, ქლორის შემცველ ან სხვა საწმენდ საშუალებაში.
გამოყენების წინ მასალის შესაბამისობის ტესტირების მიზნით, მიასხურეთ პატარა, შეუმჩნეველ ფართზე.

უსაფრთხო გამოყენება და ინფორმაცია შენახვის შესახებ
უსაფრთხო გამოყენება:
დაიბანეთ და გაიმშრალეთ ხელები გამოყენების შემდგომ. ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაში საჭიროა კანის დაცვა. არ შეისუნთქოთ. გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებად ტერიტორიებზე. სრული ინფორმაცია უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

სრული მითითებები მოცემულია ცალკეული მატერიალური უსაფრთხოების მონაცემთა ბაზაში.

უსაფრთხო გამოყენება და ინფორმაცია შენახვის შესახებ:

გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას, ტემპერატურაზე +5C-დან +25C-მდე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მოარიდეთ თვალთან და კანთან კონტაქტს.

ტექნიკური მონაცემები
გარეგნული მხარე: ნათელი, ვარდისფერი სითხე
სიმკვრივე [20°C]: მზა ხსნარი-1.05
pH მზა ხსნარი-2.0
აღნიშნული მონაცემები ჩვეულებრივი წარმოების ტიპიურია და არ უნდა იქნეს მიღებული სპეციფიკაციის სახით.

შეფუთვა 1,5 ლიტრი(-1,58 კგ)